603/2 № 4023

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

1 ერთიანი გვიდღეთ

შაბათი, 1961 წ. № 89 (1725)

ბავშვების მე-17 წელი

ფასი 3 კაპ.

ЛЕЛО 603/2 73



ამ დღეებში თბილისში გაიმართა საქართველოს სპორტკავშირის IX პლენუმი. პლენუმზე სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების საკავშირო საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგემ დ. კუზნეცოვმა სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების საკავშირო საბჭოს გარდამავალი დროშები და საპატიო სიგელები გადასცა ჩვენი რესპუბლიკის იმ კოლექტივებს, რომლებმაც წარმატებით გაანადღეს გეგმები ყველა მაჩვენებლების მიხედვით.

სურათზე: დ. კუზნეცოვი სიგელს გადასცემს სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ბეგიაშვილს. (პლენუმის ანგარიში იხილეთ შემდეგ ნომერში).

ფოტო მ. ზარგარიანისა

რეკორდები

მიმდინარე თვეში საბჭოთა კავშირს ესტუმრებიან აშშ-ს ძალოსნები. ამ ღონისძიებაში წარმატებით გამოსვლისათვის კარგახანია ემზადებიან ჩვენი ქვეყნის შტანგისტები, რომლებმაც კისლოვოდსკში ჩაატარეს შეჯიბრება და მთელი რიგი მაღალი შედეგები აჩვენეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. ვლასოვის (მძიმე წონა) გამარჯვება. მან აჭიმა 181-კილოგრამიანი შტანგა, რაც ერთი კილოგრამით აღემატება საკავშირო რეკორდს. შემდეგ მანვე მოითხოვა 205 კილოგრამი, სპორტსმენმა წარმატებით განახორციელა აკვრა და ხოცა მოძრაობა უშეცდომოდ დაამთავრა, მსაჯებმა აღნიშნეს მსოფლიო რეკორდის 3 კილოგრამით გაუმჯობესება. ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა აგრეთვე ხაბაროვსკელმა კ. კაპლიოვმა (მსუბუქი წონა) მან აჭიმა 133,5 კილოგრამი.

მჩატე წონის შტანგისტმა ა. ვახონინმა აკრა 134 კილოგრამი, ხოლო კუიბიშეველმა პირველი მძიმე წონის შტანგისტმა ს. რომასვნკომ აკრა 188 კილოგრამი. ორივე ეს შედეგი ახალი საკავშირო რეკორდია.

სურათზე: ბათუმში საწვრთნელ შეკრებაზეა სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრები გუნდი. ნაკრები გუნდის მწვრთნელი — ვ. უშაკოვი ესაუბრება ამავე გუნდის წევრს, თბილისელ გ. ჩიქვანაიას ვარჯიშის წინ.

ფოტო მ. ზარგარიანისა



მატჩი ნორვეგიელებთან

დღეს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება მორიგი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში V ჯგუფის გუნდებს შორის. თამაშობენ სსრ კავშირი-ნორვეგია.

ამ ორი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაცნობობა ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდს მიეკუთვნება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნორვეგიაში ითამაშა ამიერკავკასიის ნაკრებმა გუნდმა, რომელიც ძირითადად თბილისელი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. მაშინ ჩვენმა ნაკრებმა მოუგო ადგილობრივ პროფესიულ გუნდს „ლიფს“ ანგარიშით 2:0.

ნორვეგიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადებას შეუდგა დაახლოებით 6-7 თვის წინ. ამ ქვეყანაში შეიქმნა ფეხბურთის ფედერაციის ე. წ. შესარჩევი კომიტეტი, რომელმაც ნაკრებისათვის შეარჩია 30 ფეხბურთელი, ხოლო გუნდის მწვრთნელად მოიწვია ცნობილი ავსტრიელი სპეციალისტი ვილი კმენტი.

ვ. კმენტმა შერჩეული მოთამაშეებიდან დაიტოვა მხოლოდ 20 ფეხბურთელი, რომელთა უმრავლესობა ნაკრების ძველი წევრებია. მწვრთნელი ხშირად ჩიოდა იმ ძნელ პირობებზე, რომლებშიც მას უხდებოდა მუშაობა. გუნდის წევრები თამაშობენ სხვადასხვა კლუბებში და მათი თავმოყრა საჭირო პერიოდით საკმაოდ ძნელ საქმეს წარმოადგენდა, ამიტომ ვ. კმენტს ხშირად უხდებოდა მოგზაურობა ქალაქიდან ქალაქში, კლუბიდან კლუბში, სადაც იგი ინსტრუქტაჟს უწევდა ნაკრების წევრებს და ყურადღებას აქცევდა მათს სპორტულ ფორმას.

2 მაისს ოსლოში მოეწყო საინტერესო მატჩი. ნორვეგიის ეროვნული ნაკრები შეხვდა ე. წ. „პრესის ნაკრებს“, რომელსაც ნორვეგიელი სპორტული ჟურნალისტები ადგენენ იმ მოთამაშეთაგან, რომლებიც არ შედიან პირველ გუნდში. ეს მატჩი ანგარიშით 3:1 მოიგო „პრესის“ ნაკრებმა და ვ. კმენტი იძულებული გახდა თავიდან მოეკიდა ხელი გუნდის დაკომპლექტებისათვის.

დღეისათვის ნაკრებში არიან მეკარეები ა. ჰანსენი, ს. ანდერსენი, მცველები ა. ბაკერი, ტ. სვენსენი, ჰ. მატისენი, ნახევარმცველები რ. იუპანსენი, ა. ლეგერნენი, თავდამსხმელები ბ. ბორგენი, რ. ენსენი, რ. ბაკე, რ. პედერსონი, ა. ბერგი, ბ. ანდერსენი და სხვ.

თავისი პირველი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ნორვეგიელებმა ოსლოში წააგეს თურქეთის ნაკრებთან ანგარიშით 0:1, მაგრამ ამ გუნდს შეუძლია ისეთი, სიურპრიზების გაკეთებაც, როგორიცაა მისი გამარჯვებები უნგრეთისა და შვეიცის მეტად ძლიერ გუნდებზე.

უკანასკნელ საათს!

ლენინგრადში გაიმართა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების მორიგი შეხვედრა. ადგილობრივმა „სპარტაკმა“ მიიღო მოსკოვის ცსკა-ს მატჩი. დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით — 2:0. ცსკა გამოეთიშა საპატიო ჯილდოსათვის ბრძოლას.

ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები

ობერჰაუზენში (გფრ) გრძელდება ევროპის II პირველობა ჭადრაკში. VI ტურით დაიწყო შეჯიბრების მეორე წრე. საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ ესპანელებს.

მხოლოდ 28 სვლა გაგრძელდა ტალის შეხვედრა ტორანთან. საბჭოთა გროსმაისტერმა ცენტრში მოხდენილი დარტყმით დიდი მატერიალური უპირატესობა მოიპოვა. გამარჯვებები მოიპოვეს აგრეთვე კერესმა, სმისლოვმა და კორჩნოიმ. ბოტვინიკმა ყაიმით დაამთავრა პარტია პერესთან, ხოლო ფურმანი დამარცხდა. 4,5:1,5 — ასეთია მატჩის ანგარიში.

VII ტურში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა და იუგოსლაველი მოჭადრაკეები. 5-საათიანი ბრძოლის ბოლოს დამთავრდა 8 პარტია, 2 გადაიდო. პარტიები მოიგეს სმისლოვმა, კორჩნოიმ და გელერმა, ხოლო ყაიმს მიაღწიეს ტალმა, კერესმა, პეტროსიანმა, პოლუგაევსკიმ და ბაგიროვმა.

VIII ტურში დიდი აღმავლობით ითამაშეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა ჩეხოსლოვაკიის გუნდთან. ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა საგრძნობი უპირატესობა მოიპოვეს — 7,5:1,5. გუნდს გამარჯვება მოუტანეს ბოტვინიკმა, სმისლოვმა, კორჩნოიმ, ტაიმანოვმა, პოლუგაევსკიმ და ფურმანმა. მშვიდობიანი ყაიმით დაამთავრეს პარტიები კერესმა, გელერმა და ბაგიროვმა. პეტროსიანს მცირე უპირატესობა აქვს გადადებულ პარტიაში.

უნგრელებისა და გფრ-ს მოჭადრაკეთა შეხვედრა თითქმის თავიდანაა სათამაშო, ვინაიდან 9 პარტია დაუმთავრებელი დარჩა. იუგოსლაველები უგებენ ესპანელებს (4:1).

პირველობას ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები.

საკავშირო პირველობები

ფრენგურთი

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). ფრენბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტური აღინიშნა მთელი რიგი მოულოდნელობებით. ერთ-ერთი მათგანის აქტორი იყო თბილისის „ბურევესტნიკი“. მოსკოველ თანაკლუბელებთან შეხვედრის წინ ქართველ სტუდენტებს არა ჰქონდათ არც ერთი ქულა და უნდა ითქვას, რომ ამ შეხვედრაში არავინ ელოდა თბილისელთა წარმატებას.

პირველი პარტია დედაქალაქის ფრენბურთელებმა ჩაატარეს მონდომებით და მოიგეს იგი შედარებით ადვილად—15:5. მოსკოველთა გამარჯვებით დამთავრდა მეორე პარტიაც, მაგრამ თბილისელმა სპორტსმენებმა იგი მხოლოდ მძაფრი ბრძოლის შემდეგ დათმეს—13:15.

პირველი ორი პარტიის მოგების შემდეგ მოსკოველებმა შეანელეს ტემპი და შეასუსტეს სიფხიზლე. თბილისელებმა კი პირიქით, წამოიწყეს მძლავრი და მახვილგონივრული შეტევები. მოსკოვის გუნდი დაიბნა, დაკარგა დარტყმის სიზუსტე. მესამე პარტიას თბილისელი ფრენბურთელები აგებენ ანგარიშით 15:9.

სურათი მთლიანად შეიცვალა მეოთხე პარტიაში. ინიციატივა უკვე საბოლოოდ თბილისელ სტუდენტთა მხარეს გადავიდა. მათი შეტევები გაახრეპულია, დარტყმები ზუსტი. დაცვაში ჩვენი გუნდი თამაშობს უნაკლოდ. თბილისის „ბურევესტნიკი“ პარტიას აგებს ანგარიშით—15:8.

მეხუთე, გადამწყვეტ პარტიაში მოსკოველთა წინააღმდეგობა საბოლოოდ გატყდა. ჩვენმა გუნდმა მოიგო პარტია (15:9) და მასთან ერთად შეხვედრაც — 3:2.

კალათბურთი

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გრძელდება კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩები. ამ დღეებში მოსკოვში გაიმართა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და მოსკოვის „დინამოს“ ქალთა გუნდების შეხვედრა.

მატჩი საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონიან სტუდენტებმა ენერგიულად და მონდომებით ჩაატარეს. თამაშის პირველ ნახევარში მათ დაქსაქსეს მოწინააღმდეგის დაცვა და მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებას. II ქულა (ანგარიში 43:32) გამარჯვების საიმედო გარანტიას წარმოადგენდა.

დედაქალაქის კალათბურთელებმა გამოასწორეს მდგომარეობა შეხვედრის მეორე ნახევარში. უკანასკნელ წუთებზე ძნელი იყო გარკვევა თუ ვის დარჩებოდა გამარჯვება, მაგრამ ჯანელიძის ოსტატურმა სროლამ (მან ყველაზე უკვეთ ჩაატარა აღნიშნული შეხვედრა) გუნდს სასურველი ქულა მოუტანა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა მოიგეს მატჩი ანგარიშით 67:66.

რიგის ტტტ-მ დაამარცხა მოსკოვის „ტრუდი“ — 79:37. ვაჟთა გუნდების შეხვედრებიდან აღსანიშნავია ცსკა-ს გამარჯვება კიევის სკიფ-თან — 83:66 (41:31). ლენინგრადის „სპარტაკმა“ დამარცხება განიცადა კაუნასის „ჟალგირისისგან“ — 65:78.

* * *

გუშინ მოსკოვში თბილისის „დინამო“ შეხვდა მოსკოვის თანაკლუბელთა კოლექტივს. პირველი ნახევარი მოიგეს მოსკოველებმა — 55:24. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 60:60. დამატებით 5 წუთში მოსკოვის „დინამომ“ მოიპოვა გამარჯვება — 73:68.

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

1961–1964 წლებისათვის

★ ★ ★ ★

მსატვრული ტანვარჯიში

სპორტის ოსტატი — სავალდებულო და ნებისმიერ ვარჯიშებში დაგროვოს 54 ქულა 60 შესაძლებლიდან საბჭოთა კავშირის პირველობაზე ერთხელ ან სპორტსაზოგადოებათა და უწყებების ცენტრალური საბჭოების საკავშირო პირველობებზე, რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებზე მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქთა პირველობებზე, ლენინგრადის პირველობაზე, მხარეების, ოლქების (ასსრ) ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრებზე — ორჯერ.

I თანრიგი — წლის განმავლობაში არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის დროს, სავალდებულო და ნებისმიერ ვარჯიშებში დაგროვოს 43 ქულა 50 შესაძლებლიდან.

II თანრიგი — ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაში სავალდებულო ვარჯიშების შესრულებისას დაგროვოს 32 ქულა 40 შესაძლებლიდან.

III თანრიგი — ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაში სავალდებულო ვარჯიშების შესრულებისას დაგროვოს 30 ქულა 40 შესაძლებლიდან.

ჭაბუკთა I თანრიგი — ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაში სავალდებულო ვარჯიშების შესრულებისას დაგროვოს 32 ქულა 40 შესაძლებლიდან.

ჭაბუკთა II თანრიგი — ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაში სავალდებულო ვარჯიშების შესრულებისას დაგროვოს 30 ქულა 40 შესაძლებლიდან.

თანრიგის დასამტკიცებლად — იგივე მოთხოვნები.

სპორტსმენებს, რომლებიც გამოდიან უფროსი თანრიგის პროგრამით და ამასთან აგროვებენ თავისი თანრიგის შესაბამის ქულათა რაოდენობას, ეთვლებათ თავიანთი თანრიგის დამტკიცება.

შენიშვნა: უფროსი თანრიგები ენიჭებათ უახლოესი უმცროსი თანრიგის მქონე სპორტსმენებს.

თანრიგის მინიჭებისათვის სპორტსმენმა წლის განმავლობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს შემდეგი რაოდენობის შეჯიბრებაში: ჭაბუკთა თანრიგი — 3-ჯერ, III თანრიგი — 2-ჯერ, II თანრიგი—3-ჯერ, I თანრიგი — 4-ჯერ, სპორტის ოსტატი — 5-ჯერ.

მოზარდები და გოგონები შეჯიბრებებში მონაწილეობენ მათთვის დადგენილი პროგრამით: ჭაბუკთა II თანრიგი — 12-13 წლიდან, ჭაბუკთა I თანრიგი — 13-14 წლიდან.

გოგონებს, რომლებიც შეასრულებენ ჭაბუკთა I თანრიგის ნორმატივებს, შეუძლიათ მონაწილეობა მოზრდილთა პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებებში: II თანრიგის პროგრამით — 14 წლიდან, I თანრიგის პროგრამით — 15 წლიდან და სპორტის ოსტატის პროგრამით — 16 წლიდან.

სპორტული ტანვარჯიში

ვაჟები და ქალები

სპორტის ოსტატი — სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების მრავალჭიდში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ერთხელ ან სპორტსაზოგადოებათა და უწყებების ცენტრალური საბჭოს საკავშირო პირველობებზე, რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებზე, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქთა პირველობებზე, მხარეების, ოლქების; (ასსრ) ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრებზე ორჯერ დაგროვოს ქულათა შემდეგი რაოდენობა:

ვაჟები — 108 ქულა
ქალები — 72 ქულა

ა ნ

ორი წლის მანძილზე იმავე შეჯიბრებებში დაგროვოს რვაჯერ: ვაჟებმა — 106 ქულა, ქალებმა — 71 ქულა.

I თანრიგი — სავალდებულო და ნებისმიერ ვარჯიშების მრავალჭიდში, არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებში, დაგროვოს ქულათა შემდეგი რაოდენობა:

ვაჟები— 102 ქულა
ქალები — 68 ქულა

II თანრიგი — (ვაჟები) დაგროვოს 96 ქულა შვიდი სავალდებულო და ხუთი ნებისმიერი ვარჯიშის შესრულების შედეგად ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებებში.

II თანრიგი —(ვაჟები) დაგროვოს 72 ქულა ექვსი სავალდებულო და სამი ნებისმიერი ვარჯიშის (ორძელი, დვირი, ხტომები) შესრულების შედეგად.

III თანრიგი (ვაჟები და ქალები)— სავალდებულო ვარჯიშების ექვსჭიდში დაგროვოს 45 ქულა ნებისმიერი ოფიციალური შეჯიბრების დროს.

ჭაბუკთა I თანრიგი (გოგონები და ჭაბუკები) — სავალდებულო ვარჯიშების ექვსჭიდში დაგროვოს 48 ქულა ნებისმიერი ოფიციალური შეჯიბრების დროს.

ჭაბუკთა II თანრიგი (გოგონები და ჭაბუკები) — სავალდებულო ვარჯიშების ექვსჭიდში დაგროვოს 45 ქულა ნებისმიერი ოფიციალური შეჯიბრების დროს.

თანრიგის დასამტკიცებლად — დაგროვოს მოცემული თანრიგისათვის დადგენილ ქულათა რაოდენობა.

სპორტსმენებს, რომლებიც გამოდიან უფროსი თანრიგის პროგრამით და ამასთან აგროვებენ თავისი თანრიგის შესაბამის ქულათა რაოდენობას, ეთვლებათ თავიანთი თანრიგის დამტკიცება.

შენიშვნა: უფროსი თანრიგები ენიჭებათ უახლოესი უმცროსი თანრიგის მქონე სპორტსმენებს.

გოგონები და ჭაბუკები შეჯიბრებებში მონაწილეობენ მათთვის დადგენილი საკლასიფიკაციო პროგრამით: 13-14 წლის ჭაბუკები ჭაბუკთა II თანრიგის პროგრამით.

12-13 წლის გოგონები — იგივე პროგრამით.

14-15 წლის ჭაბუკები — ჭაბუკთა I თანრიგის პროგრამით, 13-14 წლის გოგონები — იგივე პროგრამით.

ჭაბუკებს, რომლებიც შეასრულებენ ჭაბუკთა I თანრიგის მოთხოვნებს, უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მოზრდილთა II თანრიგის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებებში 15-16 წლიდან, I თანრიგის პროგრამით — 17 წლიდან და სპორტის ოსტატის პროგრამით — 18 წლიდან.

გოგონები მოზრდილთა პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებებზე დაიშვებიან: II თანრიგის — 14 წლიდან, I თანრიგის — 15 წლიდან, სპორტის ოსტატის — 16 წლიდან.

თანრიგების მინიჭებისათვის ტანმოვარჯიშეებმა წლის განმავლობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ შემდეგი რაოდენობის შეჯიბრებებში: ჭაბუკთა თანრიგები — 3-ჯერ, III და II თანრიგი — 3-ჯერ, I თანრიგი — 4-ჯერ, სპორტის ოსტატი — 5-ჯერ.

მკითხველთა სიტყვაზე

ერთიანი ბიბლიოთეკა

კარგი მეზობლობისა მიუსაღვავად

ბორჯომის რაიონის ახალდაბის საავეჯო ფაბრიკაში არ მოქმედებს სპორტის არცერთი სექცია, გარდა ფეხბურთისა. და ეს მაშინ, როცა საწარმოში ბევრი ახალგაზრდა მუშაობს, რომლებსაც სპორტში მეცადინეობის დიდი სურვილი აქვთ. ამას გარდა, ფაბრიკაში კარგი შესაძლებლობები არსებობს სპორტის ბევრი სახეობის დასანერგავად; თავისუფლად შეიძლება მოეწყოს თუნდაც პატარა სპორტდარბაზი, შეძენილი იქნას საჭირო სპორტული ინვენტარი, ფაბრიკას შტატში ჰყავს ფიზკულტურის ინსტრუქტორი, რომელიც დილის გამამხნევებელ ვარჯიშებს ატარებს საწარმოში; იგი, ამავე დროს, მეორეთანრიგოსანი მოჭიდავეა და დიდად არის მონდომებული უხელმძღვანელოს სექციებს ქართულ, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, მაგრამ კარგი შესაძლებლობები კი გამოუყენებელი რჩება.

ამის შესახებ კარგა ხნის წინათ დასვა საკითხი ახალგაზრდობამ საწარმოს ხელმძღვანელობის წინაშე. ხელმძღვანელობა დაპირებებს არ მოერიდა, მაგრამ დღემდე ამ დაპირებებს არავითარი საქმე არ მოჰყოლია.

ვ. ჯამბაზიშვილი

◆

რამდენამდე ვიქნებით ასე?

1952 წელს ჭიათურის მოჭადრაკეებს დიდი სიხარული ეწვიათ. მათ მიიღეს, მართალია მცირე ზომის, მაგრამ საჭადრაკო შეჯიბრებებისათვის საკმარისი ოთახი, რომელსაც საჭადრაკო კლუბი ეწოდა. კლუბში სიცოცხლით სავსე მუშაობა გაჩაღდა. მიუხედავად იმისა, რომ კლუბი თავისი არსებობის 6 წლის მანძილზე თითქმის მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა, მაინ რამდენჯერმე გამოუცვალეს ადგილი,—საჭირო საქმე მაინც გაკეთდა. ქალაქში გამოჩნდა პირველთანრიგოსან მოჭადრაკეთა საკმაოდ ძლიერი ბირთვი გ. ძინძიბაძის, ფ. ნადირაძის, ვ. გორგაძის, ჯ. გაფრინდაშვილისა და სხვათა სახით. ჭიათურელმა მოჭადრაკეებმა ასახელეს მშობლიური ქალაქი საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადაზე პირველი ჯგუფის გუნდებს შორის, სადაც მე-4 ადგილი დაიკავეს.

ეს იყო უწინ, უკვე მესამე წელია ჭიათურელ მოჭადრაკეებს აღარა აქვთ თავიანთი ბინა, დაპირებები ბევრია, მაგრამ შედეგი მაინც არ ჩანს. გვამშვიდებენ იმით, რომ კულტურის სახლში მოგვცემენ ერთ ოთახს, მაგრამ სახლის მშენებლობის დამთავრებასაც უკვე ორი წელია ბოლო არ უჩანს.

ვ. ხხილაძე

დღეს ლუჟნიკში

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ). ძმების ს. და გ. ზნამენსკების სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა მძლეოსნობის განვითარების მთელი ეტაპი. 1934-დან 1940 წლამდე ისინი სისტემატურად გამოდიოდნენ ყველა დისტანციაზე 1500-10.000 მ. ტბენში და ყოველთვის წარმატებით. 1949 წელს მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე პირველად გათამაშდა მათი სახელობის პრიზი, ხოლო 1958 წლიდან ძმები ზნამენსკების პრიზის გათამაშება გადაიქცა მეტად პოპულარულ საერთაშორისო შეჯიბრებად.

პირველ ორ წელს მოსკოვს ეწვივნენ 8 ქვეყნის მძლეოსნები, შარშან ამ რიცხვმა 15-ს მიაღწია, წელს კი ჩამოვიდა ამერიკის, აფრიკის, ავსტრალიის, აზიისა და ევროპის 22 ქვეყნის 200-მდე სპორტსმენი, რომელთა შორის არიან ცნობილი იტალიელი ლ. ბერუტი და კ. ლეიკორე, ფრანგი რ. ბოეუ, ნიგერიელი ა. აბუ, მ. პრეისგერი (გდრ), პოლონელი ი. შმიდტი, რუმინელი ი. ბალაში.

მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსანთა ამ ფორუმზე მოსალოდნელია არაერთი ეროვნული და მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება. მოსალოდნელია მაღალი შედეგები სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, პ. ბოლოტნიკოვს, ვ. ბრუმელს, ი. ტერ-ოვანესიანს, ჯ. თომასს, რ. ბოსტონს, ი. ბალაშს, დ. ბრეგს და სხვებს განზრახული აქვთ იერიში მიიტანონ უმაღლეს მიღწევებზე.

შეჯიბრების მთავარი სამი პრიზი გათამაშდება 1.500, 5.000 და 10.000 მეტრზე რბენაში, აღსანიშნავია, რომ 1.500 მ რბენაში პრიზმა სამჯერვე დატოვა მოსკოვი. იგი ჯერ ს. იუნგკირტმა (ჩეხოსლოვაკია), მერე უნგრელმა შ. იხაროშმა და ბოლოს ფრანგმა მ. ბერმერმა დაიკავეს. მხოლოდ ერთხელ გავიდა საზღვარგარეთ პრიზი 5.000 მ რბენაში გამარჯვებულთათვის — იგი მ. საბომ წაიღო უნგრეთში. პრიზი 10.000 მეტრზე რბენაში არც ერთხელ არ გასულა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ა. კალმახელიძე

ცისფერ ბილიკებზე

სტოკჰოლმში გამართულ მოცურავეთა შეჯიბრებაში შვედმა მ. რომანდიმ 1500 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში ქალთა შორის დაიკავა პირველი ადგილი. მან დისტანციის გაცურვას მოანდომა 19.02,8, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია.

ახალი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა ოსაკაში (იაპონია) გამართული დასავლეთ იაპონიის ჩემპიონატი. ტ. იამანაკამ 200 მეტრი თავისუფალი სტილით გაცურა 2.01,2 წუთში და გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი.

ლ ე ლ ო

პროფკავშირთა თბილისის საქალაქო სპარტაკიადა. ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობა. ხურათებზე: მარცხნივ — რგოლებზე ვარჯიშს ამთავრებს ი. ღონღაძე; ქვევით — სპორტის ოსტატი ი. კოვალიოვი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა.

ფოტო ა. ვართანოვისა



კუს ტბაზე

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომისა და რაისპორტკავშირის ინიციატივით კუს ტბაზე ჩატარდა ამავე რაიონის სატრანსპორტო ორგანიზაციების კულტურისა და დასვენების დღე.

ტრანსპორტელთა ზეიმზე დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ ჭადრაკში, ფეხბურთში, ფრენბურთსა და ქართულ ჭიდაობაში.

მოჭადრაკეთა ტურნირში გუნდური პირველობა მოიპოვა მსუბუქი ტაქსების კანტორამ (6,5 ქულა), რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო № 5 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის მოჭადრაკეთა კოლექტივს.

ქართულ ჭიდაობასა და ფეხბურთში უძლიერესნი იყვნენ მსუბუქი ტაქსების ავტოსატრანსპორტო კანტორის, ხოლო ფრენბურთელთა შეჯიბრებაში № 1 სამგზავრო ავტობუსების სპორტსმენები. დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი და გამარჯვებულთა დაჯილდოვება.

გ. ბურჯანაძე

მანქანებით ასრულებენ რთულ ვარჯიშებს

ამ დღეებში თბილისის იპოდრომზე დოსაააფ-ის საქალაქო კომიტეტმა ჩაატარა შეჯიბრება მანქანის მართვის ოსტატობაზე. სტარტზე გამოსულ „ვოლგისა“ და „პობედის“ ტიპის მანქანებს უნდა შეესრულებინათ 12 ვარჯიში. მძღოლებს უფლება ჰქონდათ წაექციათ მხოლოდ სამი ალამი, ამასთან ყოველი ალმის წაქცევისათვის იღებდნენ საჯარიმო ქულებს.

განსაკუთრებით რთული იყო მეორე და მესამე ვარჯიში — წინ და უკუსვლით სვლა 6 მ 80 სმ-ს რადიუსიან წრეზე, რომლის დერეფანი ოდნავ აღემატებოდა მანქანის გაბარიტს. ამ წინაღობის წარმატებით დაძლევის შემდეგ მონაწილეს უნდა გაევლო საგაბარიტო კარი, ვიწრო ხიდური პალო, 6 ალმიანი სლალომისებური ტრასა (წინა და უკუსვლით), მოეხდინა მობრუნება ვიწრო დერეფანში, უკუსვლით შესულიყო გარაჟში, შემდეგ სვლითვე მიეღო და გადაეცა ესტაფეტა, და ბოლოს მანქანა გაეჩერებინა ზედ ფინიშის ხაზზე.

ყველა ეს წინააღმდეგობა განლაგებული იყო ფეხბურთის მოედნის ზომის მინდორზე, რაც მძღოლებს უძნელებდა სისწრაფის განვითარებას, დრო კი ძირითად როლს თამაშობდა გამარჯვებულის გამოვლინებაში. ვარჯიშის სირთულეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ „ვოლგის“ კლასში სტარტზე გამოსული 11 მანქანიდან მხოლოდ ორმა შეძლო შეჯიბრების დამთავრება. მათგან 1-ლი სატრიკოტაჟო ფაბრიკის მეთოდისტმა ს. საგოიანმა ტრასის გავლას მოანდომა 3.47,0 წუთი, ორი ალამი წააქცია და 270 ქულით გაიმარჯვა. უკეთესად განვლო დისტანცია ქალაქის საბჭოს აღმასკომის მძღოლმა მ. ივანიძემ. მან მხოლოდ ერთი ალამი წააქცია, მაგრამ დროში წააგო — 4.30,0 და 20 ქულით მეტი ჯარიმა მიიღო.

შედარებით იღბლიანი გამოდგნენ „პობედის“ მარკის მანქანებით შეჯიბრების მონაწილენი. სამმა პრიზიორმა — ზ. მანუკიანმა, ა. ტურიაშვილმა და გ. გრიგორიანმა — უშეცდომოთ განვლო დისტანცია, მანუკიანს 23 წამით უკეთესი დრო აღმოაჩნდა, ვიდრე მის კონკურენტებს. ამ უკანასკნელებმა კი ერთნაირი შედეგი — 3,55,0 აჩვენეს და II და III ადგილები გაიყვეს.

სურათზე: რბოლის ტრასაზე.

ფოტო ო. გელაშვილისა





სურათებზე: მარცხნივ — სოხუმის საცურაო აუზის „ტრიბუნა“; მარჯვნივ — ბათუმის საცურაო აუზის გასახდელებისა და საშხაპეების შენობის დაუმთავრებელი ნაწილი.

ფოტოები ვ. სემენოვისა და მ. ზარგარიანისა

შეჯიბრების ჩატარებას საფრთხე მოელის

როგორც ცნობილია, წყალბურთში საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის თამაშების ჩატარება განზრახულია მოეწყოს ბათუმსა და სოხუმში. შეჯიბრებები მოეწყობა ოქტომბრის პირველ ნახევარში.

ჯერ თითქოს ადრეა ბაზების მზადყოფნასა და კეთილმოწყობაზე ლაპარაკი, მაგრამ ადგილებზე მათი მდგომარეობის შესწავლამ ისეთი შთაბეჭდილება შეგვიქმნა, რომ ბათუმსა და სოხუმში საკავშირო ჩემპიონატის I წრის თამაშების ორგანიზებულად ჩატარების საქმე სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. მოკლედ თვითეული საცურაო აუზის შესახებ:

სოხუმის საცურაო აუზის მშენებლობა აფხაზეთის დოსაააფ-ს ამ ხუთიოდე წლის წინათ დაუწყია. საცურაო აუზის მშენებლობა უკვე დამთავრდა და თვით აუზზე ვერ იტყვი, რომ ცუდადაა აშენებული, მაგრამ ეს არის და ეს. როცა ამ საწყლოსნო ბაზის საზეიმო გახსნას აწყობდნენ, იძლეოდნენ დაპირებას, რომ ისევე საუკეთესოდ შეასრულებდნენ დანარჩენ სამუშაოებს. გავიდა დრო და საცურაო აუზის შემოგარენის კეთილმოწყობაზე და მისი დამხმარე სათავსოების, ტრიბუნების, გასახდელებისა და შხაპების მოწყობაზე დღეიადაგ მხოლოდ ლაპარაკი და მსჯელობა იყო. მსჯელობამ ბაზის კეთილმოწყობის საქმეს მოუტანა მხოლოდ ის, რომ აუზის პირას აშენდა დროებითი საშხაპე და გასახდელები.

რა უნდა გაკეთდეს კიდევ, რომ სოხუმის საწყლოსნო ბაზაზე შეესაძლებელი იქნეს საკავშირო ჩემპიონატის თამაშების ჩატარება?

პირველ რიგში უნდა გადაიჭრას წყლის გათბობის საკითხი. ყველასათვის ცნობილია, რომ ოქტომბერში ზღვის ტემპერატურა სოხუმში 15 გრადუსს არ აღემატება. ეს კი შეჯიბრების ნორმალურ პირობებში ჩატარებისათვის საკმარისი არაა, საჭირო იქნება მისი გაზრდა. ამ საკითხის გარშემო აქ ორი აზრი გამოთქვეს: ადგილობრივი მწვრთნელები აცხადებენ, რომ წყლის გათბობა შეიძლება ახლო მდებარე (700–800 მეტრის დაშორებით) აბანოს საშუალებით, სადაც კიდევ ერთი ქვაბი უნდა დაიდგას და მისი საშუალებით გათბეს წყალი. ამ საკითხის ასე გადაჭრა დიდ თანხებს მოითხოვს, რაც მიზანშეუწონელია, სხვა არა იყოს რა, დროის ასეთ ცოტა ხანში ამგვარი რთული სამუშაოების ჩატარება შეუძლებელია (აბანოში ძვირად ღირებული საქვაბის მოწყობა, აბანოდან აუზამდე მილების გაყვანა, მიწის სამუშაოები და სხვ.). წყლის გათბობის მეორე ვარიანტი უფრო მარტივი და მიზანშეწონილია: იქვე, აუზის ტერიტორიაზე დაიდგას პატარა გასათბობი ქვაბი, რომელიც ნაკლებ ხარჯებს გამოიწვევს და სამუშაოც იოლად შესრულდება.

ყოველ შეჯიბრებას, იქნება ეს სარაიონო, საქალაქო, რესპუბლიკური თუ საკავშირო, ყავს მაყურებელი და ამიტომ ბაზას უნდა გაეჩინდეს ტრიბუნები. სოხუმის საცურაო ბაზას მაყურებლისათვის განკუთვნილი დასაჯდომი ადგილები არა აქვს. უფრო სწორად, აქ გაუკეთიათ ტრიბუნის ერთი რიგი და დანარჩენისათვის თავი მიუნებებიათ. სავარაუდო შესაძლებლობა კი ასეთია: აქ შეიძლება დაიდგას ტრიბუნები დაახლოებით 2.000–2.500 მაყურებლისათვის. ამ საკითხის გადასაწყვეტადაც აქ ორი ვარიანტი აქვთ შემუშავებული (მხოლოდ და მხოლოდ ვარიანტები): ერთნი ამბობენ, რომ აქ შეიძლება ბეტონირებული ტრიბუნების აგება და მის ქვეშ გასახდელების, საშხაპეებისა და სხვა სათავსოების მოწყობა. ეს პროექტი თავისთავად ცუდი არაა, მაგრამ ესეც მხოლოდ მომავალში შეიძლება გადაიჭრას და არა მოკლე დროში. მეორე პროექტი მდგომარეობს იმაში, რომ აიგოს ხის უბრალო ტრიბუნები და ამით მაყურებელს თავის დროზე მიეცემა საშუალება ასპარეზობებზე დასწრებისა.

საცურაო აუზის ტერიტორიაც აგრეთვე მოითხოვს სათანადო კეთილმოწყობას. ახლა იგი ხრეშარევ და უსწორმასწორო ნიადაგს წარმოადგენს, საჭიროა მისი მოსწორება და ტერიტორიის ზედმეტი ბალასტისაგან განთავისუფლება.

აი ის სამი საკითხი, რომელთა გადაწყვეტა საჭიროა სულ მოკლე დროში — სამ თვეში მაინც. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ამ საწყლოსნო ბაზაზე წყალბურთში საკავშირო ჩემპიონატისა და სხვა მნიშვნელოვან დონისძიებათა ორგანიზებულად ჩატარება.

შეუძლიათ თუ არა სოხუმის ადგილობრივ ხელმძღვანელებს (პირველ რიგში დოსაააფ-ს, რომლის გამგებლობაშიცაა ეს საწყლოსნო ბაზა) გადაჭრან ჩამოთვლილი საკითხები? არა. და აი რატომ: დოსაააფ-ს (საცურაო ბაზა დოსაააფ-ის გამგებლობაშია, თუმცა სოხუმის სპორტკავშირებში აცხადებენ, რომ თუ ამ ბაზას მათ გადასცემდნენ, ისინი ამ საქმეს მოუვლიდნენ) ამისათვის განკუთვნილი თანხები არა აქვს, თუ ჩვენ გვინდა, რომ აქ წყალბურთში საკავშირო ჩემპიონატი ჩავატაროთ, საჭიროა საქმეს დროულად მოკიდონ ხელი უფრო კომპეტენტურმა ორგანოებმა.

ანალოგიურ მდგომარეობაშია ბათუმის „სპარტაკის“ საწყლოსნო ბაზაც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აქ გარკვეული მუშაობა უკვე დაწყებულია აუზის კეთილმოსაწყობად. ბათუმში წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ჩატარებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ თებერვლის დასაწყისში შეიქმნა ავტორიტეტული საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც დაევალა აუზის მშენებლობის დროულად დამთავრება და საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების ორგანიზებულად ჩატარება. მუშაობა მართლაც გაიშალა და ზოგი რამ უკვე გაკეთდა: აუზის გარშემო ტერიტორიაზე დაიგო მოზაიკური ქვაფენილი, ნახევრად აშენდა გასახდელი და საშხაპე (მხოლოდ ნახევრად), დაიწყო მარჯვენა მხარის ტრიბუნის საძირკვლის ჩაყრა, გადაწყვეტილი აქვთ ტერიტორიის შემოღობვა, ტრიბუნის, გასახდელების, საშხაპის დამთავრება, წყლის გასათბობი ქვაბის დადგმა და კიდევ სხვა სამუშაოები. ყველა ამ სამუშაოს დრო უნდა, დრო კი არ ითმენს. მუშაობა ნელა მიმდინარეობს. აბის ერთი სიძნელეც, წყლის გასათბობი ქვაბებისათვის საჭიროა ე. წ. „ბოილერი“ (გათბობის დამჩქარებელი), რომელიც ბათუმელმა ამხანაგებმა მიუხედავად დიდი მეცადინეობისა, ვერ შეიძინეს. ამ საკითხის მოგვარებაში მათ საქართველოს სპორტკავშირების დახმარება დასჭირდებათ. თუ ეს „ბოილერი“ საქვაბეში არ დაიდგა, წყალი ვერ გათბება და ბუნებრივია შემოდგომაზე შეჯიბრებების ჩატარება შეუძლებელი იქნება. გარდა ამისა, აუზის ტერიტორიაზე ელამაზოდაა შემოჭრილი ძველი ერთსართულიანი ბარაკის ტიპის საცხოვრებელი სახლი, რაც ძალზედ უსიამოვნო შთაბეჭდილებასა და უხერხულობას ჰქმნის როგორც სპორტსმენების, ასე მაყურებლებისთვისაც.

აქ არსებული ტრიბუნის ტევადობა დიდი გაჭირვებით ითვლის 400-მდე ადგილს და თუ მეორე ტრიბუნაც აშენდა (აშენდება კი 3 თვეში?!) ორივე ტრიბუნა 1.800-მდე მაყურებელს თუ დაიტევს. ეს კი ცოტაა.

მართალია საშხაპე ოთახების ნაწილი უკვე აშენდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით შხაპების მონტაჟი არაა დამთავრებული და აქ საწვრთნელ შეკრებაზე ჩამოსული საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წყალბურთელებიც ვერ იყენებენ. ნაკრების მწვრთნელმა ვ. უშაკოვმა პირდაპირ განაცხადა: — ასეთ პირობებში საკავშირო შეჯიბრების ჩატარება მიზანშეუწონელია. ბათუმში მაღალი კლასის წყალბურთელების გაზრდა შეიძლება, მაგრამ იმ პირობით, თუ მათი ბაზა მართლაც და კეთილმოწყობილ ბაზად გადაიქცევა. იმ შემთხვევაში თუ ბაზა არ გვექნება, თუ არ მოუვლით მას, არც წყალბურთელები გვეყოლება კარგი: თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ პრიმიტიულად მოწყობილ ბაზაზეც შეიძლებოდა წყალბურთელების დაოსტატება, წყალბურთელთა ათეული გუნდების შექმნა, მათთან საწვრთნო მუშაობის ჩატარება და მათი მონაწილეობით საქალაქო, სარაიონთაშორისო და რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარება. ახლა კი სოხუმშიც და ბათუმშიც საქალაქო პირველობაზე წყალბურთელთა 3–4 გუნდი თუ მონაწილეობს ხოლმე. ბუნებრივია, „მრავალრიცხოვნობა“ კარგს არაფერს მოუტანს აფხაზეთსა და აჭარაში წყალბურთის განვითარების საქმეს.

საჭიროა ყველა, ვისაც კი რესპუბლიკაში წყალბურთის განვითარების საპატიო საქმე ეხება, დროულად ჩაუფიქრდეს ამ გარემოებას და ქმედითი ზომების მიღებით მოწოდების სიმაღლეზე აიყვანოს ადგილებზე წყალბურთელთა დაოსტატების საკითხი. წყალბურთელების დაოსტატებაზე მარტო თბილისში არ უნდა ხრუნავდნენ.

ჯ. ენუქიძე

ჩვენ ადგილებზე ჟანრებსა და რუბრიკებში

აბაშა

აბაშის რაიონის სოფ. სუჯუნის კულტურის სახლში საინტერესოდ ჩატარდა პირველობები ჭადრაკსა და შაშში.

ჭადრაკში ჩემპიონი გახდა კოლმეურნე ა. კუცია, ხოლო შაშში — დ. თელია.

ბ. გვაზავა

ბოლნისი

აქ დამთავრდა რაიონის პირველობები ჭადრაკსა და შაშში, მოჭადრაკეთა შორის ჩემპიონობა დაისაკუთრა ღვინის ქარხნის მუშამ ა. რეხვიაშვილმა, ხოლო მოშაშეებს შორის — „სპარტაკის“ რაისაბჭოს წარმომადგენელმა ბ. უურაშვილმა.

ზ. ყურაშვილი

ახალციხე

ახალციხის რაიონის 50 მოჭადრაკე მონაწილეობდა რაიონის პირველობაზე.

ფინალურ ტურნირში პირველი ადგილი დაისაკუთრა ახალციხის სახალხო თეატრის მსახიობმა ს. ედიაშვილმა, მეორე ადგილზეა ექიმი ს. გარევსკი, ხოლო მესამეზე — ტექნიკოსი ა. პოპოიანი.

ნ. ფარჯანაძე

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 89 (1725)

მაჯგი ჭუთაისელებმა მოიგეს



★

სურათებზე: მომენტები ქუთაისის „ტორპედოსა“ და რუსთავის „მეტალურგის“ გუნდების თამაშიდან.

ფოტო ა. კულენკოვისა

★



28 ივნისს რუსთავში შედგა მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში, თამაშობდნენ ჩვენი რესპუბლიკის გუნდები — „მეტალურგი“ (რუსთავი)-„ტორპედო“ (ქუთაისი).

ბრძოლას თავიდანვე დაძაბული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ დასაწყისიდან მცირე ხნის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ქუთაისის გუნდი მოწინააღმდეგეზე ძლიერი იყო როგორც ტექნიკურად, ისე ფიზიკური მომზადების მხრივაც. ტორპედოელები შეტევას იწყებდნენ მინდვრის სიღრმიდან, სწრაფად გადიოდნენ ფლანგებზე და შემდეგ საბოლოო შეტევაზე გაჰყავდათ ცენტრალური სამეულის მოთამაშეები. მასპინძელთა კართან შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი და მეკარე ადამოვს სრული დატვირთვით მოუხდა თამაშში ჩაბმა. 30-ე წუთზე „ტორპედოს“ მარჯვენა გარემარბი სარჯველაძე ორ მცველთან ბრძოლაში გავიდა კართან და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

მეორე ტაიმში ქუთაისელებმა ერთგვარად მოადუნეს თამაში, რითაც კარგად ისარგებლეს მასპინძლებმა და ალიუქინოვმა გაქვითა კიდევ გოლი — 1:1. ეს მარცხი კარგად გითვალისწინეს ტორპედოელებმა, ქვლაქაიძეს ხელოვნურ ტატვა- და მატჩის ბოლომდე არ გაუშვიათ იგი ხელიდან. მათი ეს უპირატესობა დამთავრდა იმით, რომ ტორპედოელებმა კიდევ ორი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 3:1.

რ. ხარატი

გათამაშების მეცამეტე ტური

○

შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

თანაბარი ბრძოლით აღინიშნა მატჩი ცხაკაიაში ადგილობრივ „განთიადსა“ და რუსთავის „სპარტაკს“ შორის. პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია — 0:0. მასპინძლებმა მეორე ტაიმის დასასრულისათვის შეძლეს ინიციატივის მოპოვება და გუნდის თავდამსხმელმა მ. გოგიამ 2 „მშრალი“ ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში — 2:0.

• • •

გორში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დილა“ და ლანჩხუთის „გურია“. სტუმრები დაწინაურდნენ პირველი ტაიმის ბოლოს — 2:1. მეორე ტაიმში მოწინააღმდეგეთა კარებში გატანილ იქნა კიდევ თითო ბურთი და ლანჩხუთელებმა მორიგი გამარჯვება ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში — 3:2.

სამტრედიის „ლოკომოტივისა“ და თბილისის „სპარტაკის“ შეხვედრაში, რომელიც სამტრედიაში შედგა, ანგარიში გახსნეს სპარტაკელებმა, მაგრამ მეორე ტაიმი სამტრედიელებმა დიდი მონდომებით ჩაატარეს და მიაღწიეს ფრეს — 2:2.

• • •

კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა სტალინირის „სპარტაკმა“, რომელმაც თავის მინდორზე მიიღო ზუგდიდის „ოდიში“. მასპინძლებმა კარგად თამაშეს და გაიმარჯვეს კიდევ — 3:1.

• • •

თბილისის „ისანმა“, რომელიც წულუკიძეში თამაშობდა ადგილობრივი „ფეიქარის“ წინააღმდეგ, კარგად დაიწყო მატჩი და პირველ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ შესვენების შემდეგ სურათი მთლიანად შეიცვალა. „ფეიქარის“ ფეხბურთელები გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ და ბოლოანად დაეუფლენ მინდორს. საბოლოოდ გამარჯვება დარჩათ მასპინძლებს ანგარიშით 4:2.

• • •

ყვარლის „დურუჯს“ თავისი მორიგი შეხვედრა ჰქონდა ქუთაისში, სადაც იგი შეხვდა ადგილობრივ „მშენებელს“. მატჩი მოიგო „მშენებელმა“ ანგარიშით 4:2.

• • •

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა თელავის „კოლმეურნის“ შეხვედრა II ქვეჯგუფის ლიდერთან— მახარაძის „სიხარულთან“. თელაველებმა, რომლებიც გათამაშების ცხრილში გაცილებით ჩამორჩებიან ლიდერს, საუკეთესოდ ჩაატარეს მატჩი. დამთავრდა პირველი ტაიმი და ისინი წინ იყვნენ ანგარიშით 2:0. ლიდერი მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადა მეორე ტაიმში, მაგრამ მასპინძლები ხელიდან არ უშვებდნენ დასაწყისში მოპოვებულ უპირატესობას და განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის კარის შტურმს, რასაც მოჰყვა კიდევ ერთი ბურთი. თელავის „კოლმეურნემ“ მიაღწია მეტად მნიშვნელოვან გამარჯვებას ანგარიშით 3:0.

• • •

საინტერესოდ ჩატარდა შეხვედრა გეგეჭკორში, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი „სალხინო“ და ხობის „კოლხეთი“. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 3:3.

სოხუმის დინამოელებმა, რომლებიც ტყიბულში თამაშობდნენ ადგილობრივი „მეშახტის“ წინააღმდეგ, დასაწყისში მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს გამოცდილ მეტოქეს და მათ მიერ გატანილ პირველ გოლს გოლითვე უპასუხეს. მაგრამ შემდგომში ტყიბულის ძლიერი გუნდი თანდათან დაეუფლა ინიციატივას და გამარჯვებაც მას დარჩა — 5:1.

• • •

ჭიათურის „მაღაროელმა“ თავის მინდორზე მიიღო თბილისის არმიელთა გუნდი. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ — 1:1. შესვენების შემდეგ უპირატესობა ერთხანს თბილისელებს ჰქონდათ, მაგრამ „მაღაროელის“ ფეხბურთელებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება, ხოლო შემდეგ შეტევაზეც გადავიდნენ. მატჩის დასასრულისათვის მათ გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი, რომელმაც მათ მოუტანა გამარჯვება — 2:1.

• • •

ჩოხატაურის „ბახმაროსა“ და ბათუმის „განთიადის“ შეხვედრაში მოწინააღმდეგეთა ძალები თანაბარი აღმოჩნდა. ბათუმელებმა შეძლეს ჩოხატაურელთა მიერ პირველ ტაიმში გატანილი ბურთის გაქვითვა და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

• • •

ქუთაისის „იმერეთმა“ საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობით ჩაატარა შეხვედრა ადიგენის „მექანიზატორთან“ თავის მინდორზე და მოიპოვა გამარჯვება ანგარიშით 2:0.

გათამაშების ცხრილი

I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 1 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ჭ.
„ტორპედო“ მ.	11	9	1	1	19:7	19
„ავანგარდი“ ხ.	12	6	4	2	12:8	16
„ლოკომოტ.“ მ.	13	6	4	3	20:18	16
„დინამო“ თბ.	13	6	3	4	19:11	15
სკა როსტ.	12	6	2	4	21:12	14
„ნეფტიანიკი“ ბ.	12	4	5	3	12:11	13
„შახტიორი“ სტ.	13	3	5	5	9:15	11
„ტრუდი“ ვორ.	13	3	4	6	12:16	10
„ადმირალტ“ ლ.	13	4	2	7	10:14	10
„დაუგავა“ რ.	13	2	3	8	13:23	7
„სპარტაკი“ ვ.	13	1	5	7	12:24	7

• • •

ვორონეჟი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის გუნდებს შორის I ქვეჯგუფში. თამაშობდნენ „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „დაუგავა“ (რიგა).

მატჩი მოიგო „ტრუდმა“ — 4:2.

„ბ“ კლასში

„ლოკომოტივი“ (თბილისი)-„ლორი“ (ციროვაკანი)—3:0

29 ივნისს თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონაში. თბილისის „ლოკომოტივმა“ მიიღო „ლორი“ (ციროვაკანი).

კარგა ხანია „ლოკომოტივს“ მაყურებლისათვის არ უჩვენებია ასეთი მონდომებული და გეგმიანი თამაში. თუ ამ მატჩს მივიჩნევთ ისე, რომ რკინიგზელთა გუნდი შედის თავის ძველ საბრძოლო ფორმაში, შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ იგი მიაღწევს იმ წარმატებას, რომელსაც ჩვენ მისგან ველით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კი რომელიმე მოთამაშე გამოეთიშებოდა კოლექტივის საერთო სქემას და იწყებდა ბურთის ზედმეტ ტარებას (ეს განსაკუთრებით ეხება ახალკაცს), რგოლების ურთიერთმოქმედება და ანსამბლი კარგა ხნით ირღვეოდა.

თბილისელებმა ანგარიში გახსნეს დასაწყისშივე. პირველი გოლი გაიტანა აპრესიანმა, ხოლო მცირე ხანს შემდეგ გარღვევაზე გავიდა ბურდინი, რომელმაც ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში — 2:0.

„ლოკომოტივს“ უპირატესობა ჰქონდა მეორე ტაიმშიც. მაგრამ ახალკაცმა, ავანოვმ, ურთქელაძემ და აპრესიანმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე მეტად ხელსაყრელი მდგომარეობა. საბოლოოდ, აპრესიანმა ზუსტად დაამთავრა ერთ-ერთი კარგად გათამაშებული კომბინაცია და თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0.

ბ. ფოთაძე

„რიწა“ (სოხუმი)-„დინამო“ (ბათუმი) — 2:0.

ამავე დღეს სოხუმში თამაშობდნენ I ზონის გუნდები „რიწა“ (სოხუმი) და „დინამო“ (ბათუმი).

მატჩს დიდი ინტერესით მოელოდნენ სოხუმელი ფეხბურთის მოყვარულნი და უნდა ითქვას, მან ძირითადად გაამართლა ეს იმედები. თამაში საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა.

ბათუმელთათვის საბედისწერო გამოდგა ორივე ტაიმის მე-2 წუთები, პირველად „რიწის“ მარჯვენა გარემარბი ფიფია გარღვევაზე გავიდა თავის ფლანგზე და გადაეწოდა ცენტრში კურტანიძეს, რომელიც ამ მომენტში სრულიად უყურადღებოდ დატოვეს ბათუმის მცველებმა. კურტანიძემ კარგად შეარჩია ეს ადგილი და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

მეორედ დინამოელთა საჯარიმო მოედანზე დრიბლინგით შევიდა გრამატიკოპულო. მან მოატყუა მოწინააღმდეგის ორი მცველი და მეორედ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში.

სოხუმელებმა კარგად ჩაატარეს მატჩი. მათ საკმაოდ მაღალი ტექნიკა აქვთ, დამაკმაყოფილებელია შეთამაშებაც, მაგრამ არასახარბიელო შთაბეჭდილებას ტოვებს გუნდის საერთო ფიზიკური მომზადება. მატჩის ბოლო 15 წუთი სტუმრების ძლიერი შეტევებით აღინიშნა, მაგრამ „რიწამ“ შეძლო მათი მოგერიება და შეინარჩუნა ანგარიში 2:0 თავის სასარგებლოდ.

ზ. ბვილავა

გათამაშების ცხრილი

I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 1 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ჭ.
„ტორპედო“ მ.	11	9	1	1	19:7	19
„ავანგარდი“ ხ.	12	6	4	2	12:8	16
„ლოკომოტ.“ მ.	13	6	4	3	20:18	16
„დინამო“ თბ.	13	6	3	4	19:11	15
სკა როსტ.	12	6	2	4	21:12	14
„ნეფტიანიკი“ ბ.	12	4	5	3	12:11	13
„შახტიორი“ სტ.	13	3	5	5	9:15	11
„ტრუდი“ ვორ.	13	3	4	6	12:16	10
„ადმირალტ“ ლ.	13	4	2	7	10:14	10
„დაუგავა“ რ.	13	2	3	8	13:23	7
„სპარტაკი“ ვ.	13	1	5	7	12:24	7

• • •

ვორონეჟი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის გუნდებს შორის I ქვეჯგუფში. თამაშობდნენ „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „დაუგავა“ (რიგა).

მატჩი მოიგო „ტრუდმა“ — 4:2.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ქართველ ფეხბურთელთა ძველი თაობის წარმომადგენელს გ. ჩხეიძეს მისი დედის

ოლღა ალექსანდრეს ასულ ჩხეიძეის

გარდაცვალების გამო.

2 ივლისი თბილისის იპოდრომზე

საქართველოს რესპუბლიკური სპარტაკიადა სპორტის ტექნიკურ სახეობებში

საზეიმო გახსნა

პროგრამაში: ავიამოდელების დემონსტრაცია, ავტომობილისტთა შეჯიბრება, სამსახურებრივი ძაღლების საჩვენებელი მუშაობა, შეჯიბრება საიპოდრომო მოტორბოლაში და სხვ.



დასაწყისი 11 საათზე

გაზეთი გამოდის ხუთშაბათობით, ოთხშაბათობით, სუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-59-62, პასუხისმგებელი მდივნის და განყოფილებების — 3-00-31, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. УЭ 03983